საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №30
2024 წლის 10 აპრილი

ქ. თბილისი

„სამკერდე ნიშნის, სამინისტროს მედალიონისა და მედლის ნიმუშების და სამკერდე ნიშნით, სამინისტროს მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1000 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამკერდე ნიშნის, სამინისტროს მედალიონისა და მედლის ნიმუშების და სამკერდე ნიშნით, სამინისტროს მედალიონითა და მედლით დაჯილდოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1000 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2013, 010320000.22.034.016250) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლის:

1. „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 12**

1. სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სამკერდე ნიშნითა და მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეები საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

2. სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საიუბილეო მედლით – „საქართველოს სასაზღვრო ავიაცია – 25 წელი“ ასევე ჯილდოვდებიან საქართველოს სასაზღვრო ავიაციის ყოფილი ღვაწლმოსილი მოსამსახურეები, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით საქართველოს სასაზღვრო ავიაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.“.

2. „დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ №4 დანართს დაემატოს პლანშეტი №7 თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**

პლანშეტი №7

საიუბილეო მედალი

„საქართველოს სასაზღვრო ავიაცია – 25 წელი“

ავერსი: საიუბილეო მედალი „საქართველოს სასაზღვრო ავიაცია – 25 წელი“ არის ჰერალდიკური ფარი, რომლის ცენტრშიც გამოსახულია საქართველოს სასაზღვრო ავიაციის ემბლემა.

ჰერალდიკური ფარი გარედან შემოსაზღვრულია ოქროსფერი არშიით. ფარის ცენტრში, თეთრ ფონზე, გამოსახულია წითელი ცენტრალური ჯვარი (წმინდა გიორგის ჯვარი), ფარის მეოთხედებში, ირიბი ჯვრის ზღვარზე, გამოსახულია ოთხი მწვანე (საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სიმბოლური ფერი) სამკუთხედი.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის დეპარტამენტის დროშის ფონზე, რელიეფურ ორ ოქროსფერ ფრთას შორის, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ემბლემაა.

მედალი ოქროსფერი ციხესიმაგრიანი საკიდითა და ვაზის ორნამენტის დეტალით (საკიდით) უკავშირდება ბაფთას.

მედლის ბაფთა ლივლივა თეთრი ფერისაა, რომელზეც გამოსახულია ორი მწვანე და შუაში ერთი წითელი ფერის ზოლი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა თეთრი ფერის ზოლებით.

რევერსი: მედლის ცენტრში, ოქროსფერ ველზე, ასომთავრულით ამოტვიფრულია წარწერა „საქართველოს სასაზღვრო ავიაცია – 25 წელი“.

საიუბილეო მედლის ზომა: 36x43 მმ.

ავერსი

საქართველოს
სსიპ-ზღვარი ეროვნული
25 წელი